სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ჩარჩო-მექანიზმი

მუხლი 1. მიზანი

1. წინამდებარე დოკუმენტის (შემდგომში მონიტორინგის ჩარჩო-მექანიზმი) მიზანია თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის სისტემატური მიდგომის ჩამოყალიბება.

2. მონიტორინგის ჩარჩო-მექანიზმი განსაზღვრავს მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის სიხშირეს, მეთოდებსა და პასუხისმგებლობებს, ასევე იმ პირთა როლებსა და ფუნქციებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან პროგრესის მონიტორინგზე.

3. მონიტორინგის ჩარჩო-მექანიზმი შესაძლოა ეფუძნებოდეს როგორც რაოდენობრივ მონაცემებს (მაგ., სტუდენტთა ჩარიცხვის მონაცემები, ფინანსური ანგარიშები), ასევე ხარისხობრივ მაჩვენებლებს (მაგ. ფოკუს ჯგუფები).

მუხლი 2. მონიტორინგის სიხშირე, პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება

1. მონიტორინგის ღონისძიებები ხორციელდება რეგულარულად, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის პროგრესის მუდმივ შეფასებას.

2. მონიტორიგნის ღონისძიებებს უზრუნველყოფს კონსერვატორიის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის კომიტეტი, რომლის შემადგენლობა მტკიცდება და/ან იცვლება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. მონიტორინგის კომიტეტის შემადგენლობა განისაზღვრება დაინტერესებული მხარეების ძირითადი ჯგუფების წარმომადგენლებისგან, კერძოდ: ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და სტუდენტებისგან, რომელთა რაოდენობა არ უნდა შეადგენდეს 5 წევრზე ნაკლებს.

4. მონიტორინგის კომიტეტი ზედამხედველობას უწევს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანებისა და აქტივობების განხორციელებას დადგენილი ვადების შესაბამისად და უზრუნველყოფს შესაბამის მონაცემთა შეგროვებას.

5. მონიტორინგის კომიტეტი უფლებამოსილია კვარტლურად გამოითხოვოს მონაცემები შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებიდან.

6. მონიტორინგის კომიტეტი ვალდებულია მონიტორინგის შედეგების წარუდგინოს კონსერვატორიის აკადემიურ საბჭოს ყოველი კალენდარული წლის ბოლოს;

მუხლი 3. მონაცემთა შეგროვების მეთოდები

1. მონაცემთა შეგროვების მეთოდები მოიცავს კონსერვატორიის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ რაოდენობრივ და/ან ხარისხობრივ მაჩვენებლებს, შესრულების ძირითად ინდიკატორებს (KPI).

2. რაოდენობრივი მონაცემები შესაძლოა მოიცავდეს ისეთ მონაცემებს, როგორებიცაა: მონაცემები სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ, ფინანსურ ანგარიშებს და სხვ.

3. თვისებრივი მაჩვენებლები შესაძლოა გულისხმობდეს ფოკუს-ჯგუფებს, რომელთა მიზანია ჩაღრმავებული ინტერვიუირების საფუძველზე კონკრეტული საკითხების და/ან სფეროების ფარგლებში დაინტერესებული მხარეების პერსპექტივებსა და გამოცდილებათა იდენტიფიცირებას.